

გაცნობებთ რომ ქ. თბილისის საკრებულოს მიერ 2006 წლის # 41 დაგენილებით დიღმის ტყე-პასკი გამოეყო როგორც გამწვანების სპეციალური ზონა , აიკრძალა ყველანაირი მშენებლობა და ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს დევალა მიწის ნაკვეთის გეგმის (წითელი ხაზების დადგენა). ეს საზღვრები იყო შემუშავებული და დაგენილი. 2007 28 თებერვლის საკრებულომ მიიღო # 16 დაგენილება საქართველოს სამხედრო გზის , ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის დადგენილ საზღვრებში 20.5 ჰა ფართობზე დიღმის ტყე-პარკის განვითარებასა და აღდგენის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ . 2009 წელს 5 ივნის #6-17 გადაწყვეტილებაში“ დედაქალაქის პერესპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ’ ამ ტერიტორიას მიენიჭა სარეკრიაციო ზონა #1 სტატუსი(რზ1). მოგახსენებთ რომ სხვა და სხვა დროს 90-წლებიდან მოყოლებული დღემდე ტყე-პარკის ტერიტორიაზე სამხედრო გზის მხრიდან, აშენდა სხვადა სხვა საყოფაცხოვრებო ობიექტი. უმრავლესობას მიწა დროებით ქონდა აღებული სარგებლობასი შემდგომში კი დაიკანონეს . ამ ნაკვეთების საკადასტრო ნომრებია ას/კ.**01.13.01.022.127**. ს/კ. **01.13.01.022.055.** ს /კ.**01.13.01.022.120** ს /კ. **01.13.01.022.054**/ **ს /კ. 01.13.01.022.134** **ს/კ. 01.13.01.022.135** **ს/კ. 01.13.01 022.002**. **ს/კ. 01.13.01.022.128** **ს/კ.01.13.01.022.139** ს/კ**01.13.01.022.150** ს/კ **01.13.01. 022.148** ს/კ **01.13.01.022.140**

გარდა იმისა რომ ეს ობიექტები სრულიად არ შეესაბამებოდნენ პარკის ფუნქციას, მათ დღემდე დიდი ზიანი მოაქვთ ტყე -პარკისთვის -არც ერთ მათგანი არ არი ჩართული საკანალიზაციო ქსელში და მათი ნახმარი წყალი პირდაპირ ტყე პარკის ტერიტორიაზე იღვრება. ამ ობიექტის მფლობელები მუდმივად ცდილობდნენ გაფართოვებას . 2009 წელს დიღმის მასივის მაცხოვრებლებმა წერილითმიმართეს ამ პრობლემებთან დაკავშირებით ქ. თბილისის საკრებულოს და მერიას. წერილი უპასუხოდ დარჩა. სამაგიეროდ 2009 წელს 11 სექტემბერს საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება „ დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალურუ გეგმის დამტკიცების შესახებბ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნინსის #6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შესახებ. ამ გადაწყვეტილებით სარეკრიაციო ზონის სტატუსი შეეცვალა : აღმასენებლის ხეივნის გასწვრივ რეალურად მოქმედ ობიექტებსა და ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 31 მარტის #41 დადგენილებით შექმნილ დიღმის ტყე-პარკს შორის ერთობლივი კომისიის მიერ თითოეული ზონის ინტერესების გათვალისწინებით დაგენილი საზღვრების შესაბამისად მოხდეს ხეივნის გასწვრივ ტერიტორიის გადაკეთება საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ად. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილების არა მარტო სისწორეში არამედ კანონიერებაშიც.

ამ დაგენილებით უკვე არსბულ ობიექტებს მიენიჭა საზოგადოებრივ საქმიანი ზონის სტატუსი.შესაბამისად იყო დაფიქსირებული არსებული მდგომარეობა, და

არა შემდგომი განვითარება, დანარჩენი ტერიტორია კი სარეკრიაციო ზონა#1 დარჩა. უნდა აღინიშნოს რომ ამ გადაწყვეტილების შემდგომ იყო შემთხვევები როცა ობიექტების მეპატრონეები ცდილობდნენ ღობეების გადმოტანას და მხოლოდ დიღმის მაცხოვრებლების აქტიურობის და ტელევიზიით მიერ ამ ფაქტების გაშუქების შემდგომ ეს შეწყდა. როგორც ადრე, ასევე ამ მომენტისთვის არც ერთ ობიექტს არ გააჩნია კანალიზაცია და აბინძურებენ გარემოს საყოფაცხოვრებო ნაგვით და ნახმარი წყლით. რამდენიმე დღის წინ მოსახლეობამ ნახა ტყე- პარკის ტერიტორიაზე გეოდეზისტი ნახა , საიტზე #01.13.01.022.055 და 01. 13.01.022 127 ნაკვეთებთან ატვირთულია ახალი მსენებლობის ნებართვის მოთხოვნა სხვა ინფორმაცია გვერძე არ ჩანს. თუ შეიძლე მოგვაწოდეთ ამომწურავი ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით. დაუყონებლივ ჩაგვრთეთ პროცესში. ზემო აღნისნულის გათვალისწინებით გთხოვთ არ გასცეთ ამ საკადასტრო კოდებით დარეგისტრირებულ ნაკვეთებზე სამშენებლო ნებართვა .ტერიტორია არის კარგად გამწვანებული, ტერიტორიაზე სხვადასხვა იშვიათი ჯიშის ხე ხარობს: ძელკვა, მუხები, ფიჭვები ვერხვები და სხვა.

